

მშენებარე ქ. თბილისის შემოვლითი სარკინიგზო ხაზის თბილისი-ლილო-კვირიკე-ზაჰესის მონაკვეთზე თქვენს მიერ შემოთავაზებული ახალი ელმავლების გამოყენების პირობების განსაზღვრის მიზნით გთხოვთ, თანდართული დოკუმენტებისა და პირობების გათვალისწინებით, განახორციელოთ წევის ანგარიშები და წარმოგვიდგინოთ შემდეგი საექსპლუატაციო მაჩვენებლები:

- სატვირთო მატარებლის შესაძლო მაქსიმალური მასა ბრუტო ადგილიდან დაძვრის დროს (თქვენს მიერ შემოთავაზებული ლოკომოტივის პარამეტრებიდან გამომდინარე);
- სატვირთო მატარებლის შესაძლო მაქსიმალური მასა ბრუტო მსვლელობის დროს (თქვენს მიერ შემოთავაზებული ლოკომოტივის პარამეტრებიდან გამომდინარე) სარკინიგზო მონაკვეთის გეგმისა და პროფილის გათვალისწინებით;
- სატვირთო მატარებლის სუფთა სვლის დრო, აგრეთვე აჩქარებისა და შენელების დრო (ცალცალკე) სარკინიგზო მონაკვეთის ყოველ უბანზე;
- თქვენს მიერ გამოყენებული წევის დაანგარიშების მეთოდოლოგია;

წევის ანგარიშების წარმოებისას გთხოვთ გაითვალისწინოთ შემდეგი საწყისი პირობები:

- ანგარიში უნდა განხორციელდეს სარკინიგზო მონაკვეთის ორი საპროექტო გეგმა-პროფილისათვის (I ვარიანტი - მაქსიმალური ფიზიკური ქანობი - 18‰ (დანართი 1), II ვარიანტი - მაქსიმალური ფიზიკური ქანობი - 13,8‰ (დანართი 2)) ორივე მიმართულების სატვირთო მატარებლებისათვის;
- ლიანდაგი - რგოლური, რ-65 ტიპის რელსით;
- ძაბვა დენმიმღებზე - 2700-4000 ვოლტი;
- წყვილთვალის დიამეტრი გორვის წრეზე - 1205 მმ;
- ვაგონები ოთხღერძიანი, აღჭურვილი - გორგოლაჭიან საკისურებით - 100%;
- გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოძრაობისათვის ლოკომოტივის, ვაგონების შემადგენლობისა და მრუდების წინაღობა;
- სატვირთო მატარებლის მოძრაობის მაქსიმალური დასაშვები სიჩქარე - 80 კმ/სთ;

დანართები: დანართი 1 - გრძივი პროფილი 18‰ მაქსიმალური ფიზიკური ქანობით: ძირითადი ხაზისთვის იხილეთ ფოლდერი „Bypass-longitudinal profile“ კახეთის ხაზისთვის იხილეთ ფაილები “alignment profile (Kakheti line)” and “station Lilo alignment profile”;

დანართი 2 - გრძივი პროფილი 13.8‰ მაქსიმალური ფიზიკური ქანობით: ძირითადი ხაზისთვის იხილეთ იხილეთ ფაილი “Tbilisi Bypass Project alignment profile”;

კახეთის ხაზისთვის იხილეთ ფაილები “alignment profile (Kakheti line)” and “station Lilo alignment profile”;